# ჩვენი დები



## საქმიანობის შესახებ

“ჩვენი დების” შექმნას წინ უძღოდა დამფუძნებლის სურვილი, ხელი შეეწყო საქართველოს რეგიონებში მცხოვრე-ბი იმ ქალებისთვის, რომლებიც ინარჩუნებენ ტრადიციული რეწვის ხელსაქმეს და უნიკალური ტექნიკით ქმნიან სხვადასხვა ნივთს. “ჩვენი დების” **სოციალური მისიაა** საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ქალების ეკონომი-კური გაძლიერება ტრადიციული რეწვის სფეროში მათი პოტენციალის მაქსიმალური ათვისებითა და დასაქმების გზით.

სოციალური საწარმო ტრადიციული რეწვის ოსტატებს ეხმარება ხელნაკეთი პროდუქციის განვითარებასა და მომ-ხმარებლის საჭიროებებზე მორგებაში (კომერციულ ნაწარმად გარდაქმნა). ამავე დროს, მხარს უჭერს ნაწარმის საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პროცესში.





## პროდუქცია

სოციალური საწარმო „ჩვენი დები“ მომხმარებელს უნიკალურ ხელნაკეთ ნივთებს სთავაზობს, კერძოდ:

- **სხვადასხვა დიზაინის მქონე თექის ხელნაკეთი ოთახის ჩუსტები**
- **შალის წინდები ეროვნული ორნამენტებით**
- **ხის დეკორაციები**
- **ნაქსოვი სუვენირები**

## სოციალური შედეგები

- გაიზარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი) მცხოვრები შვიდი ქალბატონის შემოსავალი
- “ჩვენი დებისა” და ქართველი დიზაინერების ჩართულობით განახლდა ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის იერსახე, რამაც უფრო მოთხოვნადი გახადა ნაწარმი



+995 599 065 321
meetmysisters@gmail.com
https://www.facebook.com/meetmysisters
https://www.instagram.com/meetmysisters/

